ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

41-42 (9982) • 15 noemberi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

თემურ სალუქვაძემ საკრებულო დატოვა



გუშინ, თემურ სალუქვაძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დატოვების თაობაზე ოფიციალური წერილით მომართა საკრებულოს. მისი ადგილმონაცვლე დიმიტრი კვერღელიძეა — რაც თავად კვერღელიძემ დაგვიდასტურა. „მე ველოდები იმ ოფიციალურ ნაბიჯებს, რომელიც სჭირდება შესვლას საკრებულოში, დროის საკითხია მეტი არაფერი" — გვითხრა მან.

ოზურგეთის გამგებელი კოტე შარაშენიძე იქნება

„ქართულ ოცნებას" ოზურგეთის გამგებლის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატი უკვე ჰყავს. აღნიშნულ თანამდებობაზე კოტე შერაშენიძე დაინიშნება. ამ ინფორმაციას ჩვენთან საუბარში თავად შარაშენიძე ადასტურებს: „გამგებლად ნამდვილად მე მოვიაზრები, მაგრამ რაიონს ჰყავს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც მუშაობს, ამიტომ ჩემს დანიშვნაზე საუბარი ნაადრევია" — გვითხრა მან.

„ვინც დაივიწყებს, რომ ხალხის მსახურია, მისი ადგილი არც საკრებულოში იქნება და არც გამგეობაში"

მარი კოკოევი

ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ საკრებულოში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. საუბარი იყო არა მარტო ყოფილი ნაციონალი დეპუტატების მიერ ახალი ფრაქციის შექმნაზე, არამედ თვით ყოფილი ოპოზიციონერი დეპუტატის ჩანაცვლებაზეც. ამის გამო ჩვენ შევხვდით პარტია „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთ დამფუძნებელს დიმიტრი კვერღელიძეს და ვთხოვეთ პასუხები გაეცა ჩვენს კითხვებზე.

დიმიტრი კვერღელიძე: დღეს (14. 11. 2012) შევიდა ოფიციალური განცხადება ბატონი თემურის მიერ საკრებულოს დატოვების შესახებ. მე ველოდები იმ ოფიციალურ ნაბიჯებს, რომელიც სჭირდება ჩემს შესვლას საკრებულოში, დროის საკითხია მეტი არაფერი.

— და თქვენ იბრძოლებთ საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის?

— როცა საკრებულოში შევალ ვიბრძოლებ საკრებულოს თავმჯდომარეობისათვის.

მე მივესალმები ფრაქციის შექმნას თუ ეს საწინდარი იქნება ნაციონალების დაშლის. ამაში ცუდი არაფერი არ არის. ვჯერ უნდა დატოვონ ნაც. მოძრაობა მერე უნდა მოხდეს არჩევა.

უნდა დაიშალოს ნაციონალებით დაკომპლექტებული საკრებულო. ახლანდელმა წევრებმა უნდა აღიქვან ახალი რეალობა და დატოვონ პარტია. ერთია იურიდიული და მეორე მორალური მხარე. იურიდიულად აქვთ ვადა დარჩნენ საკრებულოში, მაგრამ მორალურად აქვთ კი უფლება გააგრძელონ საქმიანობა? პიროვნებებს არავინ არ ებრძვის,იქ ძალიან ღირსეული ადამიანები არიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური ნიშისა. მჯერა რომ დატოვებენ ნაც. მოძრაობას და ჩადგებიან ხალხის სამსახურში. იმ ხალხის სამსახურში, რომლებმაც სრული უმრავლესობით მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს. დარწმუნებული ვარ მათ გონიერებაში და ოზურგეთის სიყვარულში

საკრებულო დღემდე ნორმალურად არ ფუნქციონირებდა. არ იყო დამოუკიდებელი ორგანო, ეს აუცილებლად შეიცვლება. კოალიციის სურვილია მივიღოთ რეალური თვითმმართველობა, მოხდეს დეცენტრალიზება. ბიუჯეტი უნდა დგებოდეს ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით. საკრებულოს არსი

▶▶▶ გვ-2

ვახტანგ სიორიძე: „რეზბალნიცაზე" ჩემს გადასაყვანად, ციხის უფროსმა ფული მოითხოვა."

ოზურგეთელი ვახტანგ სიორიძე 2005 წლიდან საქართველოს რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერია. იგი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა აქციებში. კარგად გვახსოვს მისი აქტიურობა 2007 წლის ნოემბრის აქციებში. შარშან იგი ჩართული იყო მაისის საპროტესტო გამოსვლებში.

21 მაისს, „სახალხო კრებამ" ქ. ბათუმში, ერას მოედანზე, მრავალათასიანი მიტინგი მოაწყო. ამ აქციაში ოზურგეთიდან რამდენიმე ასეულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აქციას ესწრებოდნენ გაზეთების „ალიონის" და „გურია ნიუსის" ჟურნალისტებიც. „სახალხო კრების"ოზურგეთელთა აქტივისტებში ვახტანგ სიორიძეც იყო. მას შემდეგ, რაც ყოფილმა პოლიციელმა გოჩა მუხაშავრიამ სამართალდამცავებს მოუწოდა „გთხოვთ გადმოდით ხალხის მხარეზე," მრავალსაათიანმა აქციამ ერას მოედნიდან აჭარის ტელევიზიის ოფისისაკენ გადაინაცვლა. მომიტინგეები პირველ ეტაპზე ტელევიზიით მიტინგის პირდაპირ ტრანსლირებას ითხოვდნენ. დაახლოებით საღამოს 7 საათისათვის მომიტინგეებმა აქციის მოთხოვნები გაამკაცრეს.

▶▶▶ გვ-4

ღია წერილი ბატონ ალეკო მამეშვილს

მთავარი სიკეთის თესვაა!

„თუ წარსულს პისტოლეტს ესვრი, მომავალი ზარბაზნით დაგემუქრება!"-რამ გამახსენა ეს სიბრძნე?—გაზეთ „ალიონის" ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა ღია წერილმა, რომლის ადრესატი თქვენ ბრძანდებით, ბატონო ალეკო!

არ ვიცი წაიკითხეთ თუ არა ეს წერილი, რომლითაც გაზეთის რედაქტორი ნუგზარ ასათიანი გულისხმიერებას და ყურადღებას გთხოვდათ, რათა საუკუნოვან გაზეთს, წლების მანძილზე დამკვიდრებული არავანსაღი კონკურენციისათვის რომ გაეძლო!

თანაგრძნობის უნარი მთავარიაო!— შეგვაგონებს ბრძენი. ეს მთავარი რომ შეგახსენოთ, ამიტომაც დაიწერა ის წერილი, ამიტომაც მომეძალა გუშინდელზე ტკივილიანი ფიქრი.

„თქვა ბერმან: ეძებს ღმერთი კაცისაგან გონებას, სიტყვას და საქმეს!"-ასე „პატერიკი" შთაგვაგონებს.

უფალს სამთავე უბოძებია თქვენთვის, მაგრამ...მაინც მახსენდება მირიე მატიეს ეს მრავლისმთქმელი სიტყვები: „ცხოვრებაში ისეთად დარჩი, როგორიც ბუნებით ხართ."

ხართ დღეს ისეთი, როგორიც გუშინ იყავით? ამ კითხვას კონკრეტული ფაქტი უნდა დავამატო. არჩევნების წინ, როცა თქვენი გვარი გაჟღერდა, ნუგზარ ასათიანს ვკითხე:

—ვინ არის ეს ალეკო მამეშვილი?

ნუგზარმა თქვენი მშობლები შემახსენა. მესიამოვნა, დავიჯერე, რომ ამ შემთხვევაში ნაღდად გაცხადდებოდა ანდაზა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო."ნუგზარმა თქვენს შესახებ ზუსტად ასე თქვა:

—ძალიან კარგი პიროვნებაა!

რამდენჯერმე შეგხვდით და... ანდაზის სისწორე ვირწმუნე!

დროსთან ერთად ბევრი კარგი მესმოდა თქვენზე... მაგრამ...

როცა ნუგზარ ასათიანის ოდნავ საყვედურიანი და ვედრებით სავსე წერილი წავიკითხე... რაღაცაები მეც გავიხსენე, თანაც, სამწუხაროდ, არასასაიამოვნო. ჩვენ ამ თემაზე საკმაოდ გვისაუბრია, ამიტომაც არც საყოველთაო თემად ვაქცევ...

რაც შეეხება „ალიონთან" თქვენ გულგრილობას... გამაოცა!

„ქვეყნის დაცემა იწყება იქ, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა?"—ხომ არ არის ეს შეგონება მრავლისმთქმელი?!

გაზეთი „ალიონი"ჩვენი წარსულია, წინაპართა საქმეების (კარგისაც და ცუდისასა) მემატიანეა.

ამ გაზეთს (რომელსაც ადრე „ლენინის დროშა"ერქვა), წლების მანძილზე მაღალზნეობრივი, კეთილი ადამიანები რედაქტორობდნენ. მე მხოლოდ ერთს გავიხსენებ: დიდებულ პიროვნებას და მისაბაძ ხელმძღვანელს ბატონ აფთონ გურგენიძეს (რომელთან 32 წელი ვიმუშავე).

მაშინ, როცა აკრძალული იყო სიტყვა „ბატონო,"—ჩვენს რედაქტორს ყველა ასე მიმართავდა (დღეს „ბატონო" და „ქალბატონო", თითქოსდა ზრდილობიანი მიმართვაა). იგი ქცევითაც იყო საბატონო პიროვნება და სიტყვა-პასუხითაც. მან მშვენივრად იცოდა ბერტოლდ ბრეხტის ამ სიტყვის მნიშვნელობა: „ეს ცხოვრება ეკუთვნის იმას, ვინც სიკეთს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს."დიახ, ბატონი აფთონი ისეთი პიროვნება იყო, რომელსაც ვერც კაბინეტში და ვერც მის გარეთ, ვერავინ კადრებდა და შებედავდა სიტყვას და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 ნოემბერი, ხუთშაბათი	16 ნოემბერი, პარასკევი	17 ნოემბერი, შაბათი	18 ნოემბერი, კვირა	19 ნოემბერი, ორშაბათი	20 ნოემბერი, სამშაბათი	21 ნოემბერი, ოთხშაბათი
მზე, ღრუბელი +12+18	მზე, ღრუბელი +11+17	მზე, ღრუბელი +9+22	მზე +11+21	მზე, ღრუბელი +11+21	წვიმა +8+12	მზე +9+18

„ვინც დაივიწყებს, რომ ხალხის მსახურია, მისი ადგილი არც საკრებულოში იქნება და არც გამგეობაში"

ასეთია, რისი გაკეთებაც შეიძლება ოჯახში ,უნდა გაკეთდეს ოჯახში, რისი გაკეთებას შეიძლება სოფელში, უნდა გაკეთდეს სოფელში, რისი გაკეთებაც შეიძლება რაიონში, უნდა გაკეთდეს რაიონში. ასე უნდა მოხდეს და არა მითითებებით და პარტიული დავალებებით, როგორც ხდებოდა. არ იყო ხალხის ჩართულობა და საკრებულოს აქტიურობა ბიუჯეტის შედგენაში, რომელიც არი უმთავრესი დოკუმენტი. უნდა იყოს ხალხის მაქსიმალური ჩართულობა და გაირკვეს, რა არის პრიორიტეტი, რა უნდა იყოს ბიუჯეტის ნომერ პირველი ამოცანა. ამას უნდა ბევრი მუშაობა. პროფესიულად უნდა იხილებოდეს ყველა კომისიის, შემდეგ საკრებულოს დონეზე. ასე მარტივად და ხელაღებით ბიუჯეტის მიღება, როგორც აკეთებდნენ აქამდე, წარმოუდგენელია. შედეგად მივიღეთ ბიუჯეტი, რომელშიც არ იყო სოციალური მხარე დაცული.

ბიუჯეტის განაწილება უნდა მოხდეს ისე, რომ ხალხმა მიიღოს სარგებელი. ოზურგეთი დოტაციური რაიონია,დაახლოებით 20%-ია ადგილობრივი შემოსავალი დანარჩენი არის ტრანსფერი. მოდიოდა რვა-ცხრა მილიონი, 11 მილიონი იყო შარშან და მე არ მგონია რომ ეს დაეტყო ოზურგეთს. დაეტყო მარტო იმ ხალხს, რომლებიც მოკალათებულები იყვნენ თბილ სკამებზე. მართალია მოთხოვნებიდან გამომდინარე მცირე იყო ბიუჯეტი, მაგრამ უნდა ყოფილიყო ოპტიმალურად განაწილებული. ბიუჯეტის შედგენაში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა იქნება ახალი ხელისუფლების მთავარი დევიზი. საკრებულო არ უნდა დაცილდეს საზოგადოებას. მისი ფუნქციაა ხალხი მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული, ღია უნდა იყოს საკრებულოს მუშაობა. ადამიანებმა უნდა იგრძნონ რომ ადგილობრივი ხელისუფალი მასზე ზრუნავს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წელიწადნახევარში რომელიც დარჩენილი აქვს საკრებულოს, იქნება ყველაზე გამორჩეული და ნაყოფიერი.

თანხა გაცილებით მეტი იქნება ვიდრე იყო შარშან, რადგან ბატონ ბიძინას მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობაში უნდა მოხდეს განსაკუთრებული სუბსიდირება. და დარგის განვითარება. ეს იმას ნიშნავს რომ ამ კუთხით აუცილებლად იქნება თანხები მიმართული. ასევე პრიორიტეტული იქნება სოციალური სფერო. შეიქმნება სამუშაო ადგილები და დარწმუნებული ვარ გაიცემა იაფი კრედიტები.

როცა ადამიანი საკრებულოს ზღურბლს გადააბიჯებს, იქ უნდა დამთავრდეს ყოველგვარი პოლიტიკური შეხედულებები და დავალებები. მისთვის უნდა იყოს მხოლოდ ერთი დევიზი: ოზურგეთი უპირველეს ყოვლისა. როცა ადამიანი სკამზე ზიხარ, უნდა გახსოვდეს შენ ხარ ხალხის რჩეული.

მე ჯერ არ ვიცნობ 2013 წლის ბიუჯეტის პროექტს. როცა გავეცნობი მერე მექნება კონკრეტული შენიშვნები და გეგმები. ამ ბიუჯეტს მიიღებს ახალი საკრებულო. ძველს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების არც უფლება აქვს და არც უნარი.

თუ 2013 წლის ბიუჯეტს ექნება იგივე მიმართულება, რაც ჰქონდა შარშან, აუცილებლად დაბრუნდება უკან. კონკრეტულ მუხლებზე საუბარს ეს საგაზეთო წერილი არ ეყოფა, მაგრამ როცა დავიწყებ მუშაობას, ყველა მედიასაშუალებას ვთხოვ თანამშრომლობას მოვაწყოთ ბიუჯეტის ღია განხილვა .

საკრებულოს კარი მედიისთვის ნებისმიერ დროს ღია უნდა იყოს. აქედან გამომდინარე საზოგადოებისთვის ჟურნალისტები გააშუქებენ ყველაფერს და მიიტანენ საზოგედოებამდე

— ღღეისთვის მოქმედ საშვთა სისტემაზე რას გვეტყვით?

— საშვთა სისტემა გასაუქმებელია. ნებისმიერ დროს საკრებულოს და მისი თავმჯდომარის კარი ღია უნდა იყოს ჟურნალისტებისთვის და სზოგადოებისთვის... თქვენ საშვი არ გჭირდებათ იმ ადამიანებთან მისასვლელად, ვისაც ხმა მიეცით. უნდა იგრძნოთ, რომ ის თქვენი დაქირავებულია და არა პირიქით. ვინც დაივიწყებს, რომ ხალხის მსახურია, მისი ადგილი არც საკრებულოში იქნება და არც გამგეობაში. ნურავის დაავიწყდება, ვინ უხდის ხელფასს. ვინც ქირაობს, ის განკარგავს სიტუაციას ეი. ხალხი. თქვენი შეყოვნება არ შეიძლება, თქვენი ჩართულობა ნიშნავს საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენებას.

როგორც ყველა, ასევე მედია ბიზნესში იქნება თანაბარი კონკურენცია. ჩადგებით თანაბარ პირობებში ამის გარანტიას გაძლევთ ვითანამშრომლებ ყველა მედია საშუალებასთან. ვინ როგორ გააშუქებს, მის სინდისზე და პროფესიონალიზმზე იყოს.

არც ერთ თანამდებობაზე არ დაინიშნება ცუდი წარსულის და არაპროფესიონალი ადამიანი. მოქმედი თანამდებობის პირებიდან თუ არიან ღირსეულები, მათ დარჩენას არ გამოვრიცხავ. მაგრამ თუ ცვლილება მოხდება არ მოხდება ჩუმად, პარტიზანულად, ნათესაობის და ახლობლობის გამო.

ნოემბრის აქციებით დაიწყო ამ ხელისუფლების დასასრული!

ნუგზარ ასათიანი

2007 წლის შემოდგომის საპროტესტო აქცია ქ. ოზურგეთში

2007 წელს „ნაცმოძრაობის" საქმიანობისადმი მოსახლეების ნდობის ფაქტორმა აშკარად იკლო. ადამიანებში გაძლიერდა პროტესტის გრძნობა გაუთავებელი „ჩასარეცხების" ძახილით, ეკლესიების ნგრევის გამო, ნაციონალური ელიტის მიერ არჩევნებებზე დაპირებების ფარატინა ქაღალდად ქცევის გამო.

ამ დროისათვის საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ ძალად რესპუბლიკური პარტია ითვლებოდა და მათ რეგიონებში საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციები ჰყავდათ. ივლისში ოზურგეთის საზოგადოებას შეხვდნენ ამ პარტიის ლიდერები ლევან ბერძენიშვილი, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი და სხვები.

მახსოვს ამ შეხვედრაზე თინა ხიდაშელმა თქვა: ,,მალე ჩვენ ტელეეკრანზე ვეღარ გვიხილავთ, ჩვენ ბლოკირებული ვართ, ამიტომ ხშირად ადგილებზე შეეხვდებით საზოგადოებას." ეს იმას ნიშნავდა რომ, რეგიონებში ოპოზიციას მუშაობა უნდა გაეძლიერებინა. ლევან ბერძენიშვილი რესპუბლიკური პარტიის გურიის რეგიონული კომიტეტის მეშვიდე წევრად აირჩიეს.

შემოდგომა ოზურგეთში ლამაზად დაიწყო. გაიხსნა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი. საზეიმო ცერემონიალს ერის სულიერი მამა, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაესწრო.

ოპოზიცია ოქტომბრის მეორე ნახევარში გააქტიურდა. ისინი ხელისუფლებიდან ითხოვდნენ პასუხებს კითხვებზე: რატომ აშინებდნენ ადამიანებს, რატომ ხოცავდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, რატომ იყვნენ ადამიანები 35 წელს ზემოდ გამოუდეგარი, რატომ ყიდდნენ უცხოელებზე ჩვენს მიწა-წყალს, როგორ საკუთარ ვიბიდ აქციეს ქვეყნის ბიუჯეტი და ა.შ.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გამოვიდნენ ზვიად ძიძიგური, კოკო გამსახურდია, გოგა ხაინდრავა, ბიძინა გუჯაბიძე...

ლევან ბერძენიშვილმა ამ მიტინგზე განაცხადა: ,,საქართველო უნდათ გურიის გარეშე, საქართველო უნდათ ქართველი ხალხის გარეშე, მაღალი იდეალების, დემოკრატიის გარეშე. ვისთვის უნდათ ეს ქვეყანა? საქართველო ქართველი ხალხის გარეშე არ იქნება. ამიტომაც უნდა ვიბრძოლოთ მისთვის."

ხელისუფლება ისე იყო ,,მონდომებული"შიშის ფაქტორის გაძლერებაზე, რომ ოზურგეთში ყურძნის გასაყიდად ჩამოსული კახელი გლეხები დაკავეს და დაჯარიმეს (?!) ამას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ოპოზიციური პარტიების პროტესტი მოჰყვა.

—საპატრულო პოლიციამ დაგვაკავა და თბილისის აქციას ვერ შევუერთდებითო, — გვიპასუხა.

გაზეთის გამოშვებას ვასრულებდით. რედაქციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაზეთის თანამშრომლის, გია გოგოლაძის ,,ვაზ-06"-ით შუაღამისას წავსულიყავით თბილისში. ამის შესახებ ტიფოს ვაცნობეთ. თითო ასე ,,თავზეხელაღებული" მძღოლი ტიფომ და ლელა ნაცვალაძემ იშოვნეს და სამი მსუბუქი ავტომანქანით თბილისისაკენ გავემგზავრეთ.

გურიის ამ ,,დელეგაციაში"იყვნენ სამი ჟურნალისტი (ჩვენს გარდა გაზეთ ,,გურია ნიუსის"ჟურნალისტი გიორგი გირკელიძე) და რესპუბლიკური და კონსერვატორული პარტიების წევრები. თბილისში დილაადრიანად ჩავედით. რუსთაველზე გავედით. ათეულ ათასობით ადამიანი მოემართებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, დედაქალაქიდან. კავშირგაბმულობის სახლთან რამდენიმე ყვითელი ავტობუსი იდგა, რომელშიც ჩაფხუტებიანი, შეიარაღებული სპეცრაზმელები ისხდნენ.

დაახლოებით ასორმოცდაათი ათასი იდგა მაშინ რუსთაველზე ცნობილი მოთხოვნებით.

გურიის პატარა დელეგაცია იმ დიდი მუხტის ერთ-ერთი ნაპერწკალი იყო. ექვსში დილით აქციის ორგანიზატორებმა რეგიონების წარმომადგენლებს ადგილებზე დაბრუნება სთხოვეს. მათ ადგილებზე უნდა გაეგრძელებინათ აქციები.

ისე, როგორც მთელს საქართველოში, გურიაშიც საპროტესტო აქციები გრძელდებოდა.

7 ნოემბერს რესპუბლიკური პარტიის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე ტიფო მიქატაძე 4 პიროვნებასთან ერთად მსუბუქი ავტომანქანით თბილისისკენ მიემგზავრებოდა. ჩოხატაური-სამტრედიის გზაზე ჩოხატაურის პოლიციამ ,,ნარკოლოგიური შემოწმების" მიზნით ისინი დაკავეს(?!)

მგზავრებმა ნარკოლოგიური შემოწმება გაიარეს ოზურგეთის სამხარეო ნარკოლოგიური ექსპერტიზის ცენტრში, რის შემდეგაც 4 მგზავრი გათავისუფლეს, ხოლო ტიფო მიქატაძე სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის ,,კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის მოტივით"დააკავეს.

ჩოხატაურის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ს. კიკვაძე), მას სახდელის ზომად ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯა და ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. ტიფო მიქატაძემ პროტესტის ნიშნად მშრალი შიმშილობა გამოაცხადა პატიმრობის დასრულებამდე.

მის დაპატიმრებას საზოგადოების, ჟურნალისტების პროტესტი მოჰყვა. ტიფო მიქატაძე მხოლოდ 5 დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

* * *

ტიფო მიქატაძე: –5 წელი გავიდა ნოემბრის ცნობილი აქციებიდან. თუმცა ეს ხუთი წელი ისე დატვირთული იყო მოვლენებით, სწრაფადაც გავიდა. ამ ხელისუფლებასთან სულ ასე დაძაბულ რეჟიმში ვიყავით ჩემს ოჯახთან, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად. ხომ ვიცი, ჟურნალისტებიც რა დღეში იყავით. იმის დავიწყება, რაც იყო, ის ენებათაღელვა, ის ემოცია, ძალადობა ხელისუფლების მხრიდან, დაპირისპირება, საზოგადოების ორად გაყოფა, ამის წაშლა მეხსიერებიდან შეუძლებელია.

გვ-5

ღია წერილი ბატონ ალეკო მამეშვილს

მთავარი სიკეთის თესვაა!

ჩვენი გაზეთი 18.500 ტირაჟით გამოდიოდა და რესპუბლიკაში ვრცელდებოდა (მარტო ქ. თბილისში გვყავდა 500-ზე მეტი ხელმომწერი). ჩვენს რედაქციაში პრაქტიკაზე სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აგზავნიდნენ და მას ახალგაზრდა სპეციალისტთა სამჭედლოს ეძახდნენ.

ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა წერილები, სადაც დაცული იყო ზომიერება შექებისას, კრიტიკისას. იგი ერთ-ერთ პირველ და უძლიერეს გაზეთად ითვლებოდა საქართველოში.

რედაქციაში გამორჩეული მუშაკები მუშაობდნენ. დღეს, მათგან ბევრი არაა ცოცხალი. მინდოდა მათი ხსოვნის საღამო მომეწყო. დახმარება გთხოვეთ. დამპირდით. სცენარი დავწერე. მოიწონეს... მაგრამ... თქვენ რატომღაც ცოცხალი ჟურნალისტებისთვის ისურვეთ ღონისძიების მოწყობა და... სიტყვაც შეუსრულეთ დღეს სხვადასხვა სამსახურებში პრესსამსახურების უფროსებად შერაცხულ ჟურნალისტებს!

რატომ არ ეცით პატივი გარდაცვლილთ? ნუთუ იმიტომ, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ თქვენზე კარგი ეწერათ და ეთქვათ?

შეცდით! სასუფევლიდან მათი ლოცვა უფრო შეგეწეოდათ და მეც არ დამჭირდებოდა თქვენთვის ,,პატერიკის" ეს შეგონება: ,,პირველი წესი მოყვასის მიმართ-შეასრულო მიცემული სიტყვა და არასდროს მოატყუო ცხოვრებაში."

თქვენ მე მომატყუეთ, თქვენ გარდაცვლილი ჟურნალისტები მოატყუეთ!

თქვენ დღეს დახმარებას და გულისხმირებას გთხოვთ საუკუნოვანი გაზეთ ,,ალიონის" რედაქტორი. იქნებით გულისხმიერი? გაიხსენეთ, რომ ,,მთავარი ის კი არ არის, ვინ ხართ, არამედ რას აკეთებთ!"

თქვენ ჩემში კარგ პიროვნებად შემოხვედით! მაგრამ, შენდობას გთხოვთ, რადგან მიჭირს ,,გულში მართალი სიტყვის ჩაკვლა."

ამ წერილით, გაზეთ ,,ალიონის"მოქმედი და პენსიონერი ჟურნალისტები, მკითხველები, რედაქციის გარდაცვლილი მუშაკები დახმარებას გთხოვთ. თქვენ ბევრისთვის გაგიკეთებიათ სიკეთე, ეგებ ამ ერთხელაც, საუკუნოვანი გაზეთისთვისაც გაისარჯოთ და არავანსაღი კონკურენციისაგან დაიხსნათ!

დაგვაჯერეთ, რომ თქვენთის მართლაც მთავარია სიკეთის თესვა!

ღმერთს ვებარებოდეთ!

ეთერ ქადეიშვილი.

შპს „გზამშენი 18“ – 2012

შპს „გზამშენი 18“ (უფროსი თემურ ჯანხვა) ერთ-ერთი წარმატებული საგზაო ორგანიზაციაა საქართველოში. მიუხედავად დიდი კონკურენციისა, აქაური მეგზ-ევეები გამოირჩევიან პროფესიონალიზმით და არაერთ რთულ საინჟინრო ნაგებობებს აგებენ. ამ სურათებზე 2012 წელში განხორციელებული პროექტების ნაწ-ილია წარმოდგენილი.

ხიდი მდინარე მერიაზე. (მშენებლები: შპს „ხიდმშენი 99“, „გზამშენი 18“

თემურ ჯანხვა და ბესო ჩხაიძე (სამუშაოთა მწარმოებელი) კურორტ ბახმაროში.

შპს „გზამშენი 18“ ბახმაროს გზის რეაბილიტაციისას.

ვახტანგ სიორიძე: „რეზბალნიცაზე“ ჩემს გადასაყვანად ციხის უფროსმა ფული მოითხოვა.“

ნუგზარ ასათიანი

ვახტანგ სიორიძე: –„მოთხოვნები მშვიდობიანი იყო. აქციას მურმან დუმბაძე ხელმძღვანელობდა. იგი ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას ითხოვდა, რომ აჭარის ტელევიზიას სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისათვის. ტელევიზიასთან კორდონი გაკეთდა თანამშრომლების გადასაადგილებლად. თუმცა პოლიცია აშკარად პროვოკაციაზე მიდიოდა და ქმნიდნენ აზრს, თითქოს აქციის მონაწილეები ტელევიზიის აღებას გეგმავდნენ. სამართალდამცავების რაოდენობა აქციის მონაწილეთა გარშემო მატულობდა. დაცვის პილიციას სპეცრაზმელების დიდი ოდენობა დაემატა და თანდათან ავიწროებდნენ ჩვენს გარშემო რკალს. 22-ში გამთენიისას, აქციის დარბევა და დაპატიმრებები დაიწყო. დაიჭირეს აქციის აქტივისტები გოჩა მუხაშავრია, დავით ფარტენაძე, ცოტნე ანანიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ანზორ სოლომონიძე, დიმიტრი ჭეიშვილი და მე.

თავდაპირველად შსს აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიგვიყვანეს. აქ ამ სამმართველოს ინპექტორ-გამომძიებელმა ენვერ მელაძემ სასტიკად მცემა. მირტყამდა გვერდებში, თავში, მუშტი თვალშიც ჩამარტყა. ნაცემი ჯერ „კპზ“-ში გადამიყვანეს, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მომისაჯეს და შემდეგ ციხეში–ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.“

–როგორი პირობები იყო ციხეში, ჰქონდა თუ არა ადგილი ზეწოლის ფაქტებს?

–ციხეში არ იყო ნორმალური პირობები. 6-კაციან საკანში 12 ვისხედით. ღამით მორიგეობით გვეძინა. ყოველდღიურად, შემოწმების დროს, დერეფანში ჯგუფის თანამშრომლები გვცემდნენ რეზინის ხელკეტებით, თან გვეუბნებოდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, გვემუქრებოდნენ: „თუ ჭკუით არ იქნებით, უარესს გიზამთო...“ცუდი იყო თუ „საჩვენებლად“ დასასჯელთა შორის მოხვდებოდი. გამოიყვანდნენ ერთ-ერთ მსჯავრდებულს მათი შეხედულებისამებრ და პატიმრების წინ სასტიკად სცემდნენ. ამით სხვებს აშინებდნენ.

–ციხის გარდა გამოძიების პროცესში სხვა ზეწოლა არ ყოფილა?

–ციხეში შეყვანისას, აღიარების მიზნით, ციხის რეჟიმის თანამშრომელმა ირაკლი კონცელიძემ განახორციელა ზეწოლა, ხოლო აჭარის მთავარი პროკურორის მოადგილე ზვიად ფხაკაძე მემუქრებოდა:–თუ „დანაშაულს“ არ აღიარებ, 11 წელი ვერ ნახავ ვერც შენს მეუღლეს და ვერც შენს შვილებსო!... საბოლოოდ ბათუმის სასამართლომ 2 წელი ციხე, 2 წელი პირობითი, 3 წელი გამოსაცდელი ვადა მომისაჯა და 2 ათასი ლარი ჯარიმა დამაკისრა. ჯარიმის თანხა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გადაიხადა.

– რატომ გახდა საჭირო ციხის სამკურნალო დაწესებულებაში შენი გადაყვანა?

–როგორც გითხარით, ინსპექტორ-გამომძიებელმა ენვერ მელაძემ სასტიკად მცემა. გვერდებში ცემისაგან წყალი ჩამიდგა. საჭირო გახდა ჩემი „რეზბალნიცაზე“გადაყვანა. საკანში ცუდად შევიქენი, მაგრამ ყურადღებას არ მაქცევდნენ. ჩემი მეუღლე ხათუნა ჭანიკიძე მივიდა ბათუმის ციხის უფროს გიორგი ვეკუასთან და სთხოვა ჩემი „რეზბალნიცაში“გადაყვანა. ციხის უფროსმა 1200 ლარი მოითხოვა. ჩემს ოჯახს ეს თანხა არ გააჩნდა. 15 დღე ვიყავი ცუდად. შემდეგ სახალხო დამცველის აპარატის აჭარის წარმომადგენელი გიორგი ჩარკვიანი ჩაერია საქმეში. მხოლოდ ამის შემდეგ ციხის ექიმმა ზურაბმა (გვარი არ მახსოვს) ყურადღება მომაქცია და წელს, 21 თებერვალს „რეზბალნიცაში“ გადამიყვანეს. 9 დღე დავყავი „რეზბალნიცაში.“ ვერ ვიტყვი არ მკურნალობდნენ. გამსინჯეს და წამლებს მასმევდნენ. ამის შემდეგ, ტუბზონაში, გლდანის ციხეში გადამიყვანეს. აქ დაახლოებით 4,5 თვე დავყავი. 12 ივლისს ეტაპით რუსთავის №16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადამიყვანეს.

–რუსთავში როგორ ეპყრობოდნენ პატიმრებს?

–ცუდად, ძალიან ცუდად. იყო, ზეწოლები, ცემა. განსაკუთრებით ციხის უფროსის მოადგილე დავით მუმლაძე აქტიურობდა. მისვლისთანავე მითხრა:–აქ მე ვარ უფროსი, თუ გინდ გიორგი ტუღუშთან მიჩივლეთ, არაფერი არ გამოგივათო. აბანოთ სარგებლობა კვირაში ერთხელ შეგვეძლო მხოლოდ. შეზღუდული გქონდა „თავისუფალი“საათები. კვირა დღეს საკნებში ვიყავით გამოკეტილები...

–რა შეიცვალა სოზარ სუბარის სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მოსვლის შემდეგ?

–ბევრი რამ შეიცვალა. უპირველესად ციხე უფრო უსაფრთხო გახდა. საკნები კვირის ყველა დღეს იღება განსაზღვრულ საათებში, ყოველდღიურად შეიძლება აბანოთ სარგებლობა. მოწესრიგდა პაემნების საკითხი და ა.შ. ციხეში სოზარის ხელი იგრძნობა.

–როდის გაგათავისუფლეს პატიმრობიდან?

–ჩემს მეუღლეს თხოვნა ჰქონდა შეტანილი ჩემი გათავისუფლების შესახებ. ძალიან დამეხმარნენ პარლამენტარები ზვიად კვაჭანტირაძე, ეკა ბესელია. დიდი მადლობა ეკუთვნის ბატონ ბიძინა ივანიშვილს თანადგომისთვის. 29 ოქტომბერს გამათავისუფლეს.

–როგორაა თქვენთან ერთად დაკავებული 6 ადამიანის ბედი?

–ჩემი გათავისუფლების დაჩქარება ჩემი ავადმყოფობის მძიმე მდგომარეობამ განაპირობა. დანარჩენებს შარშან, სასამართლოს პროცესებზე ვნახულობდი. ჩვენი გასამართლება 2011 წლის ივნისში დაიწყო და საბოლოო განაჩენი 9 დეკემბერს გამოგვიტანეს. თავდაპირველად მოსამართლე თამარ ბეჟანიძე იყო, ხოლო შემდეგ განაჩენი ვერა დოლიძემ გამოგვიტანა. გოჩა მუხაშავრია და დავით ფარტენაძე ბათუმის ციხეში იხდიან სასჯელს, ხოლო ცოტნე ანანიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ანზორ სოლომონიძე, დიმიტრი ჭეიშვილი –გეგუთის კოლონიაში. ისინი პოლიტიკური პატიმრები არიან და მალე გათავისუფლებას ვუსურვებ.

–ახლა რას აპირებ, როგორია შენი გეგმები?

– ციხიდან ჯანმრთელობა შერყეული დავბრუნდი. მიხარია, რომ კვლავ ჩემი ოჯახის გვერდით ვარ. მკურნალობა მესაჭიროება, აბასთუმანში ან სხვა მსგავს სამკურნალო დაწესებულებაში უნდა წავიდე. მე ამის საშუალება არ მაქვს. ოზურგეთში ჯერ-ჯერობით ის ხელისუფლებაა, ვინც მე მშვიდობიან აქციაში მონაწილეობისთვის დამაპატიმრა. ამიტომ, იმედი მაქვს კეთილი ადამიანები დამიდგებიან გვერდით.!

„გურიის ვირტუოზების“ წარმატება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმისა და ექსკურსიების ბიურო შპს „გურია თრეველთან“არსებულმა ოური ჩიხლაძის სახელობის სტუდიამ „გურიის ვირტუოზებმა“ქ. თელავში კონკურს-ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. მათ გამოსვლას მაყურებელი და ჟიური განსაკუთრებული მოწონებით შეხვდა და „2012 წლის საუკეთესო ანსამბლის“ წოდება მიენიჭათ.

როგორც „გურია თრეველის“ დირექტორმა დავით კვერღელიძემ გვითხრა, მიუხედავად არც ისე დიდი დროისა, რაც ეს სტუდია შეიქმნა, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ჩიხლაძემ და ვოკალისტმა მზია კვერღელიძემ საკმაო წარმატებებს მიაღწიეს. ეს ანსამბლი ქართული ხალხური ტრადიციების მეტად დამკვიდრებისთვის შეიქმნა.

დავით კვერღელიძე გვესაუბრა,თუ რა როლი უნდა შეასრულოს ამ სტუდიამ „გურია თრეველის“ სამომავლო გეგმებში. გაგვაცნო ანსამბლის გეგმებიც. „გურიის ვირტუოზები“ 25 ნოემბერს მონაწილეობას მიიღებს ქ. ბათუმში ფოლკლორის ფესტივალში; 28 იანვარს, ოური ჩიხლაძის ხსოვნის საღამოს ჩაატარებენ, სადაც „გურიის ვირტუოზები“ საანგარიში კონცერტით წარსდგება ოზურგეთელი მაყურებელის წინაშე; გაზაფხულზე კი ურეკის კულტურის სახლში გეგმავენ კონცერტს „ვარდობისთვე გურიაში.“

ასევე გეგმავენ დუეტების, კვარტეტების, სექტეტების შექმნას, რომლებიც ტურისტულ სეზონზე ტურისტულ კომპლექსებს, დასასვენებელ სახლებს მოემსახურებიან.

იძულება, მიჩვევა, თუ გადაჩვევა

ნინო ნიკოლაიშვილი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოზურგეთის ოფისში მოწვეული საზოგადოებისთვის გაიმართა ჩვენება ლევან კოლუაშვილის დოკუმენტური ფილმისა „ქართველები უცხოეთში“ .

ფილმში ასახულია ქართველ ქალთა მძიმე ხვედრი, რომლებიც ოჯახის გამოსაკვებად უცხოეთშია გადახვწილი (ამ შემთხვევაში ამერიკაში) და ნაკლად საკუთარ შვილებსა და ოჯახის წევრებზე ზრუნვისა და მათგანაც ასეთივე სიყვარულის მიღებისა, სხვათა ოჯახების შინამოსამსახურენი ხდებიან, უყლიან ბავშვებს, მოხუცებს, მეტწილად მონური შრომის ფასად, ეს უკეთეს შემთხვევაში. თუმცა რამდენი მათგანი გამხდარა ტრეფიკინგის მსხვერპლი,რამდენი მათგანი იმყოფება ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ, რამდენი ოჯახი დაინგრა, როგორ იზრდებიან მათი შვილები, რა პრობლემებია ჩვენში მათ ოჯახებში, ამ პერიოდების შეუქცევადი პროცესებისგან, ამის არც სტატისტიკა არსებობს, არც სრული ინფორმაციის ფლობის მზაობა.

გულგრილად არ შეიძლება უყურო კადრს, როცა საკუთარ შვილს დედა ტელეფონით უმღერის ნანას და მისი მკაცრი სინამდვილე სევდამოზღვავებული და გრძნობგაყინული მოჩანს სარკიდან; როგორი მძიმე ულელი დაიდგეს ამ ქალბატონებმა, ოჯახსა და საშობლოს მონატრებულებმა. და ყოველივე ამის შემდეგ უმძიმესი შრომით მოპოვებული ფული, რომლითაც საკმაოდ ბევრი ქართული ოჯახი არსებობს.

ამ გაგზავნა - მიღებას ორთავე მხარე მიეჩვია, თუ ორთავე მხარე გადაჩვია დროებით, მაგრამ მაინც ერთმანეთს.

როგორ ხარჯავს ოჯახი ამ ფულს, რამდენად გამართლებულია ასეთ მსხვერპლზე წასვლა და რამდენი ხნით? ეს და სხვა ბევრი კითხვა დაისვა დარბაზში.

– **შორენა კოსტავა,** – (იგი სბერძნეთში 9 წლის განმავლობაში იმყოფებოდა) მე რომ მცოდნოდა დღეს ამ ფილმს ვნახავდი, არ მოვიდოდი. მინდა ეს საშინელი წლები დავივიწყო. ვერ გავამართლებ ოჯახის წევრთა ფუფუნებით ცხოვრებისათვის ქალის უცხოეთში გადახვწას. მე დედა მყავდა ავად და მის გადასარჩენად წავედი. არ დავლოდებივარ ბევრ ფულს დავაგროვებ მეთქი. ყველა დედამ ისე უნდა გაზარდოს შვილი, რომ თავისი პრობლემები თავად მოაგვაროს. მე დედაჩემს იქ არ გავუშვებ სამუშაოდ. თავად ავიღე ჩემს თავზე ეს ვალდებულება. ხშირ შემთხვევაში უცხოეთიდან გამოგზავნილ ფულებს მათი შვილები რესტორნებში ხარჯავენ...

ქეთევან კვაჭანტირაძე: – რაც ვნახეთ, ჩვენი მძიმე სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული და სწორედ აქედან უნდა დაიწყოს პრობლემების მოგვარება. გამოიკვეთა მოსაზრება, ეს ფილმი აუცილებლად უნდა ნახონ იმ ახალგაზრდებმა, რომელთა დედები უცხოეთში იმყოფებიან.

წლებმა თავისი მოიტანა და ნებით თუ უნებლიედ უახლოეს ადამიანთა გაუცხოება მოხდა, მიჩვევაც და გადაჩვევაც. საშუალოდ ამ მდორე დინებას მიჰყვება ორთავე მხარე და არც ერთი არ ცდილობს რაიმე შეცვალოს, ან უბრალოდ ვერ ახერხებს ამას. აქ არც ფორმულა არსებობს ყველაფრის ასახსნელი, თუმცა არსებობს კითხვები, მოსაზრებები – იძულება, მიჩვევა, გადაჩვევა, სამივე ერთად, თუ კიდევ სხვა განსხვავებული ღირებულებები.

უკანავაში მსუბუქი ავტომობილით გავლა შეუძლებელია

თურქი ინვესტორები მდინარე ბახვისწყლის ხეობაში ჰესს აშენებენ. მშენებლობაზე დიდი წონადობის ავტოტრანსპორტის მოძრაობის გამო ვანისქედი-უკანავას 6-კილომეტრიან მონაკვეთზე გზა ისეა დაზიანებული მალე არა მარტო მსუბუქ, არამედ ავტობუსსაც გაუჭირდება გავლა. ამ უბანში მცხოვრები 40-მდე კომლი უგზოობის გამო მძიმე მდგომარეობაშია.

მართალია ჰესის მთავარი შენობა მეწყერმა ძლიერ დააზიანა, მაგრამ მშენებლები ახლა არხებს აკეთებენ და მძიმე ტექნიკა მაინც მუშაობს. თურქი მშენებლები გზის შეკეთებას არ აპირებენ. რაც შეეხება ადგილობრივ ხელისუფლებას, „ნაციონალებმა“ უკანავლებს პრობლემების მოგვარებას ხმების სანაცვლოდ შეპირდნენ და მოატყუეს.

ვის მივმართოთ?

სოფ. უკანავას მოსახლეობა.

ნოემბრის აქციებით დაიწყო ამ ხელისუფლების დასასრული!

ნოემბრის აქციის ოზურგეთელი მონაწილეები ქ. თბილისში 3 ნოემბერი, 2007წ.

ყველაზე დასამახსოვრებელი ის არის, რომ ეს იყო შედეგი, კულმინაცია საზოგადოების მხრიდან იმ პოლიტიკაზე, რასაც ,,ნაციონალური მოძრაობა''ახორციელებდა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან. პირველი აშკარა გამოხატულება თავისი ფორმების, მაშტაბების, ემოციით, მუხტით, თავისი ორგანიზებულობითაც ნოემბრის აქცია სერიოზული სკოლა იყო როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის.

ნოემბრის აქციით დაიწყო ამ ხელისუფლების დასასრული.

ოზურგეთში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს და ორგანიზაციებს ერთმანეთთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. საერთო მიზნისთვის შეკრული და გაერთიანებული იყო არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაციები, არამედ საზოგადოება და მედიასაშუალებებიც. კონსოლიდაცია და სოლიდარობის ხარისხი მაღალი იყო.

რაც შეეხება ხელისუფლებას, მან ნიღაბი ჩამოიხსნა, ფასადური დემოკრატიის სამოსელი აეხადა და საზოგადოების წინაშე მთლიანად გაშიშვლდა. მის მიერ განხორციელებული ზეწოლები და ძალადობის ფაქტები მიუთითებდა ხელისუფლების რეალურ სახეზე.

როგორც იცით, 2007 წლის 6 ნოემბერს ჩვენ დავბრუნდით იმიტომ, აქცია უნდა გაგრძელებულიყო რეგიონებში. ოზურგეთში პარალელურად აქციები გრძელდებოდა და მას ჩემი მეუღლე მარინა სუნგულია ხელმძღვანელობდა. 7-ში, როგორც კი აქციის დარბევის შესახებ გავიგეთ, თანამოაზრეებთან ერთად თბილისში გავემგზავრეთ. როგორც აღმოჩნდა, თურმე გვითვალთვალებდნენ და ჩოხატაური-სამტრედიის გზაზე ჩოხატაურის პოლიციის თანამშრომლებმა დამაკავეს. პოლიციის ბოროტი დაუმორჩილებლობა დამაბრალეს, ცრუ მოწმეები მოიყვანეს და სიყალბეზე აგებული სასამართლო დაბა ჩოხატაურში ჩატარდა. ჩემი თანამოაზრეები გაათავისუფლეს, ხოლო მე ოზურგეთის იზოლატორში გადამიყვანეს. იზოლატორში მიყვანისთანავე მშრალი შიშშილობა გამოვაცხადე. რატომღაც მოწამლის შიშიც მქონდა. იზოლატორიდან გავაკეთე განცხადება, რომ ეს იყო არაჰუმანური, დანაშაულებრივი რეჟიმი და საზოგადოებას მოვუწოდე გაეგრძელებინა ბრძოლა ამ რეჟიმის დასრულებამდე. ასევე განვაცხადე, რომ მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა გამოვხატავდე იმ ადამიანების აზრს, რომლებიც დემოკრატიისათვის, სამართლიანობისთვის იბრძვიან.

გურიის საზოგადოება გამოირჩეოდა თავისი დემოკრატიულობის მაღალი ხარისხით, ამას რიგი ორგანიზაციების კვლევებიც ადასტურებს და მათ ეს დაამტკიცეს 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებზე, როდესაც მიუხედავად გაყალბებისა, პრეზიდენტობის კანდიდატმა გურიაში ყველაზე ცოტა ხმები მიიღო, ეს იყო სხვა არჩევნებში და ამის ნათელი დადასტურება 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები იყო.

რაც შეეხება პოლიციის თემას, მაშინ გურიის პოლიციას ბესო გელენიძე ხელმძღვანელობდა, რომელმაც ზოტში განხორციელებული უაზრო ,,სპეცოპერაციით''დაამახსოვრა საზოგადოებას თავი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი საპატრულო პოლიციის უფროსი ცირდავა იყო. ცირდავამ დააკავა ურეკში 1 ნოემბერს თბილისში მიმავალი აქტივისტები, მაგრამ ასევე მახსოვს, როდესაც ჩოხატაურიდან ოზურგეთის იზოლატორში გადმოვყავდი პოლიციას, ისეთი არაბოროტი, ადამიანური განწყობა შევამჩნიე ჩემს მიმართ სხვა პოლიციელებისაგან განსხვავებით. გამიკვირდა, თან მესიამოვნა, რადგან იმ დროს პოლიცია ჩვენს მიმართ ძალიან აგრესიული იყო.

* * *

როგორც გახსოვთ, საქართველოს პრეზიდენტმა 7 ნოემბერს გამოსცა დეკრეტი საგანგებო მდგომარეობის შესახებ. ეუთოს წარმომადგენელმა მიკლოშ ჰარადშიმ ტელეკომპანია ,,იმედის''დახურვასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მან ამასთანავე მედიას ნეიტრალიტეტისკენ მოუწოდა და ყურადღება გაამახვილა მედიის თვითრეგულაციის კოდექსის აუცილებლობაზე.

ამასთანავე საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელებმა, საქართველოს ხელისუფლებას გაუგზავნეს მიმართვა ტელე და რადიოკომპანია ,,იმედის''დაუყონებლივ აღდგენის შესახებ.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში დაიწყო დიდი ზეწოლა გაზეთ ,,ალიონზე.''ალიონელი'' ჟურნალისტები ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ,,შავ სიაში'' აღმოჩნდნენ.

საინტერესო აზრი გამოთქვა 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს საია-ს ოფისში გამართულ დისკუსიაზე ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე მარინა თოფურიამ: ,,მივდივართ რევოლუციებამდე, რადგან გვაქვს დისკუსიების დეფიციტი.''

პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ ოზურგეთში შეხვედრისას განაცხადა, რომ ,,არც ერთ კანდიდატს არ აქვს ისეთი რეიტინგი, რომ მას კონკურენცია გაუწიოს'' მაგრამ...

გაზეთი ,,ალიონი'' ცდილობდა დაბალანსებული მასალები დაებეჭდა და არჩევნებში მხარე არ აღმოჩენილიყო, მაგრამ გარკვეული ადამიანების ჯგუფმა მოახერხეს, რომ ,,ალიონის'' დაბლოკვა ახალი ძალით გაეგრძელებინათ და უარი თქვეს მათთვის მიუღებელ გაზეთში მმართველი პარტიის რეკლამების განთავსებაზე. ეს კი იმას ნიშნავდა რომ ,,ალიონს'' პრობლემები ექნებოდა.

24 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიას ,,რეაგირებაც'' მოჰყვა. საღამოს სამხარეო პოლიციიდან ნაცნობი ოფიცერი მოვიდა ჩემთან სახლში და მითხრა: -ბესო გელენიძესთან სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეო. წავყევი...

ამით არ დამთავრებულა ჩემი დაბარებები. რამდენჯერმე დამიბარეს ,,თეთრი სახლის''III სართულზე გვიან ღამით. საუბრებს გარდა ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა, ,,კუდის''მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ...

ოპოზიციის მიერ გაზეთ ,,ალიონში''გაკეთებული განაცხადი, რომ ,,ხელისუფლება დიდი გაყალბებისათვის ემზადება''გამართლდა.

* * *

ოზურგეთელთა ტრადიციულ გაზეთზე ზეწოლა არც გელენიძის წასვლის შემდეგ შეწყვეტილა. 2009 წლის 29 ივნისის ნომერში, გაზეთ ,,ალიონში'' დაბეჭდილ სტატიას ,,დაშინების პოლიტიკა განახლებული მეთოდით'' იმავე დღეს გაზეთის დაყადაღება მოჰყვა, ხოლო შემდეგ რამაზ ნიკოლაიშვილის ,,ერთგული''ხალხი გაზეთს ნელ-ნელა აცლიდნენ არსებობის საშუალებას. ჩვენს საპროტესტო ღონისძიებებს შედეგი არ მოჰყოლია.

არ მოგვცეს რეგიონული მედიის ურთიერთდახმარების ფონდში წარდგენილი პროექტის განხორციელების საშუალება; გვიბლოკავდნენ ინფორმაციებს; გაზეთ ,,ალიონში'' აიკრძალა საბიუჯეტო ორგანიზაციების განცხადებების გამოქვეყნება; საგანმანათლებლო დაწესებულელებში კარი დაუხურეს ,,ალიონის''დისტრიბუციას; ცალკეულ ბიზნესმენებს აუკრძალეს ამ გაზეთში რეკლამის განთავსება და ა.შ.

შარშან, ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილთან რეგიონული მედიის ჟურნალისტებთან ერთად შეხვედრის შემდეგ ,,ალიონი'' საბოლოოდ დამკვიდრდა რამაზ ნიკოლაიშვილის ,,ერთგულთა''გუნდის ,,შავ'' სიაში. ეს ადამიანები არა მარტო გაზეთის რედაქტორს, არამედ ჩემს ოჯახსაც ებრძოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ რომ ჩვენ არსებობის საშუალება არ გვქონოდა.

ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილი არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში დღემდე მოვედით. მოვედით ჩვენი ქვეყნის და ხალხის სიყვარულით, იმ ოზურგეთელების იმედით, რომლებიც მცირედით მაინც ცდილობდნენ ჩვენს მხარდაჭერას.

სამხრეთ კავკასია... კონფლიქტები და ახალგაზრდა ჟურნალისტების ხედვა...

ნომრის სტუმარია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ ,,სოხუმის'' პროექტის ასისტენტი, ჟურნალ ,,ქალთა ხმის'' კორესპონდენტი მანანა ლეშკაშელი, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში თურქეთში, ქ. სტამბულში გამართულ ტრენინგში ღებულობდა მონაწილეობას.

წლების მანძილზე მიღებული მაქვს მონაწილეობა ტრენინგ-სემინარებში, აქციებში, კონკურსებში, ერთობლივ ქართულ-აფხაზურ შეხვედრებში, ამერიკაში - 1999 წ. - მოზარდთა შეხვედრა, ფონდი "სოხუმის" მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში ბელორუსიასა (2009 წ - ქალთა შეხვედრა) და სტამბულში (2010წ. - ახალგაზრდული ქსელის ფარგლებში).

წელსაც, როგორც ფონდი "სოხუმის" ჟურნალისტს, მქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო ერთკვირიან საერთაშორისო ტრენინგში, რომელიც გაიმართა თურქეთში, სტამბულიდან დაახლოებით 50 კილომეტრში, მარმარის ზღვის სანაპიროზე გაშენებულ ქალაქ სელიმ-ფაშაში.

ტრენინგის მონაწილე იყო 16 ახალგაზრდა ჟურნალისტი სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური რეგიონებიდან - საქართველო (მათ შორის სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი), აზერბაიჯანი, სომხეთი. მონაწილეები პროგრამისთვის შეირჩნენ სპეციალური კონკურსისა და გასაუბრების საფუძველზე.

პროექტი განხორციელდა პროექტის "მდგრადი თანამშრომლობა განათლების და კონტაქტების დამყარების გზით: კონფლიქტურ-სენსიტიური ჟურნალისტიკა და სოციალური მედიის გამოყენება" ფარგლებში.

პროგრამა დააფინანსა: რობერტ ბოშისა და ჰეინრიხ ბიოლის ფონდებმა, ასევე ფონდმა "ღია საზოგადოება".

ტრენინგის ხელმძღვანელები საქართველოდან - თამარ ჯანაშია და სალომე მეხუზლა იყვნენ.

ტრენერებმა ყურადღება გაამახვილეს სამშვიდობო ჟურნალისტიკისა და სოციალური მედიის გამოყენებაზე, ბლოგების და მიკრო-ბლოგების შექმნასა და გამოყენებაზე. ტრენინგი სავსე იყო პრაქტიკული და თეორიული ნაწილით. ტრენერებმა გვიჩვენეს ფილმები კონფლიქტების თემაზე, რომლის შემდეგაც მიმდინარეობდა განხილვა, მსჯელობა, ასევე გავეცანით და განვიხილეთ რამდენიმე სტატია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების თემაზე

შთაბეჭდილებები

-დაუვიწყარი ერთი კვირა გავატარე აფხაზ, აზერბაიჯანელ, ქართველ, სომეხ, ოს კოლეგებთან ერთად. ძალიან თბილი მოგონებები შემომრჩა მოლიცლიცე მარმარის ზღვა ზღვაში მოტივტივე ნავი, ამომავალი მზის შუქი და ჩამავალი მზის ფონზე კავკასიელი ჟურნალისტების ჟრიამული, რაც აუცილებლად დააკლდება სასტუმრო " ემილი" -ს

ჩვენ ერთად მოვინახულეთ სტამბულის ღირსშესანიშნავი ადგილები: აია-სოფიას ტაძარი, გორგონა-მედუზას სახელობის მუზეუმი, ცისფერი მეჩეთი გავისეირნეთ ბოსფორზეც დატვირთული და საქმიანი დღის დასასრულს ვსაუბრობდით, ზოგჯერ ვკამათობდით კიდეც საერთო პრობლემებზე, ჩვენთვის საინტერესო თემებზე. ვესწრებოდით კულტურულ საღამოებს - ერთხელაც სამხრეთკავკასიელი ახალგაზრდები მოვხვდით თურქების ქორწილში, რომელსაც ჩვენი, კავკასიური ხასიათი, ელფერი შევძინეთ

ამ ერთი კვირის განმავლობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მიუხედავად ინტერესთა სხვაობისა ჩვენ, მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებს ბევრი რამ გვაქვს საერთოც - ტრადიციები, მენტალიტეტი, ხასიათი, პრობლემები. სულაც არ იგრძნობოდა სივრცე ჩვენ შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შორის ერთ დროს იყო კონფლიქტები, რომლებიც დღემდე მოუგვარებელია

ამ პროგრამის წყალობით გავიჩინე ახალი მეგობრები. დღესაც მაქვს მათთან მიმოწერა სოციალური ქსელების წყალობით. ალბათ ძალიან სენტიმენტალური არ ვიქნები, თუკი ვიტყვი, რომ თითოეული თქვენგანი მიყვარხართ და უკვე ძალიან მენატრებით!!! როგორ მენატრება თქვენთან ერთად გასეირნება დაუნ-თაუნში მსჯელობა იმაზე, ჟურნალისტი სუბიექტური უნდა იყოს თუ ობიექტური, ტრადიციებზე, მენტალიტეტზე

ნეტა, შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება!!! ერთმანეთს ცრემლებით დავემშვიდობეთ, იმ იმედით, რომ ერთ დროს აუცილებლად შევხვდებით!

მნიშვნელოვნად მიმაჩნია მსგავსი პროგრამების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალისტთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებას, ცოდნის, სიახლეების შეძენას, ასევე ადამიანებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას და გამყარებას.

განსაკუთრებული როლი აქვთ ჟურნალისტებს - თუ რამდენად ობიექტურად, მგრძნობელურად გააშუქებენ, მიუდგებიან ამა თუ იმ საკითხს კონფლიქტების თემაზე თუ რას გაუწევენ პროპაგანდას - ომის თუ მშვიდობის თემას

მივესალმები, თუკი მსგავსი ტრენინგები, შეხვედრები მეტი სიხშირით გაიმართება, არ იქნება ფორმალური ხასიათის, ვისურვებდი ადამიანებმა კონფლიქტური რეგიონებიდან ყველა რესურსი (მათ შორის სოციალური ქსელები) გამოიყენონ ურთიერთობების გასამყარებლად

ტრენინგის მონაწილეთა შთაბეჭდილებები

თეიმურ მაკსუტოვი - საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა "ექოს" პოლიტიკის განყოფილების კორესპონდენტი

"ჟურნალისტად 2007 წლიდან ვმუშაობ. 2009 წლიდან აქტიურად ვწერ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაზე. ბოლოს საქართველოში ერთდროულად გამართულ რამდენიმე ისეთ ღონისძიებაში ვმონაწილეობდი, სადაც, ასევე, იყვნენ ჟურნალისტები საქართველოდან, სომხეთიდან.

ღონისძიება სტამბულში, პირველ რიგში, დიალოგისთვის

გვ-6

სამხრეთ კავკასია... კონ-ფლიქტები და ახალგაზრდა ჟურნალისტების ხედვა...

ღონისძიება სტამბულში, პირველ რიგში, დიალოგისთვის პლატფორმის შექმნას უნდა ემსახურებოდეს. კონფლიქტური რეგიონებიდან მოსული ჟურნალისტების ურთიერთობა, იქნება ეს აფხაზეთი, სომხეთი, საქართველო, უზრუნველყოფს, დაე, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მხარეთა დაახლოებას; წაშლის რაღაც სტერეოტიპებს ხალხების მტრობასა და შეუთავსებლობაში. მეორე მომენტი, თვითონ ტრენინგია კონფლიქტურ-სენსიტიურ ჟურნალისტიკაზე და სოციალური მედიის გამოყენებაზე.

კონფლიქტების მოგვარების საქმეში სამხრეთ კავკასიაში, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებისა და ჟურნალისტების როლი უზარმაზარია. პირველ რიგში უნდა წაიშალოს სტერეოტიპები, რომ ადამიანები, უბრალოდ, ერთად ვერ იარსებებენ. მეორე მომენტი, უნდა შეწყდეს მტრობის ხელოვნურად გაღვივება.

ჟურნალისტი, პირველ რიგში,ხელისუფლების მხრიდან განხრციელებულ პროპაგანდას უნდა გაემიჯნოს; შეეცადოს მოვლენებს გვერდიდან შეხედოს.

არ მიყვარს სიტყვა "ობიექტურობა", რადგან თითოეულს თავისი წილი სიმართლე აქვს. თუ მხარეებს მართლა სურთ კონფლიქტის მოგვარება, პრინციპებს ცოტათი უნდა დავშორდეთ და ხალხზე ვიფიქროთ.

ადამიანები ერთმანეთს მტრებად არ უნდა აღიქვამდნენ. ამ ადამიანებთან პირადი საუბრებიდან მივხვდი, რომ ისინი შექმნილი სიტუაციით და,აქედან გამომდინარე, პრობლემებით შეშფოთებულნი არიან.

ვიმედოვნებ, რომ ეს ტრენინგი გარკვეულ დაახლოებას შეუწყობს ხელს".

გიორგი ამარიანი, აღმოსავლეთმცოდნე, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. სწავლობდა ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ევროპულ ცენტრში (გერმანია). სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფში; სახალხო დამცველის აპარატში, პოლიტიკის და ინფორმაციის დეპარტამენტში; იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; ქუთაისის ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის გენერალური დირექტორი; საქართველოს გაეროს ასოციაციის "ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის" პროგრამის კოორდინატორი; არის ქურთული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დამფუძნებელი.

„კონფლიქტურ-სენსიტიური ჟურნალისტიკა მნიშვნელოვანი მიმართულებაა - განსაკუთრებით ჩვენს რეალობაში, მაშინ, როდესაც ორი კონფლიქტური ზონა გაგვაჩნია. ჩვენ პრაქტიკულად არ გაგვაჩნია ობიექტური ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა... გარდა ამისა, მნიშვნელოვანია პირადი კონტაქტები კოლეგებთან, ამაში გარდა ოფიციალური ურთიერთობებისა, მყარდება მეგობრული ურთიერთობებიც, ჩნდება ერთმანეთის მიმართ ნდობა... ამაში გვეხმარება სოციალური ქსელები, ბლოგები, სხვა საინფორმაციო რესურსები, რომლთა გამოყენებაც სრულად ჯერ კიდევ არ ვიცით.

— კრანიკ ხუდოიანი, ჟურნალისტი სომხეთიდან.

— მიმაჩნია რომ კონფლიქტები სახალხო დიპლომატიის დონეზე უნდა წყდებოდეს.

მნიშვნელოვანად მიმაჩნია სოციალური ქსელების გამოყენებით ურთიერთობების გაღრმავება. მე როგორც ჟურნალისტი, ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო მშვიდობისმშენებლობაში. არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჟურნალისტი არ უნდა მონაწილეობდეს მშვიდობისმშენებლობაში.

ვისურვებდი, რომ კავკასია მთელ მსოფლიოში იქცეს ყველაზე მშვიდობიან რეგიონად!

სოკრატ სალუქვაძის გახსენება



ისე წავიდა, ვერც დავემშვიდობეთ!

ეს ფრაზა დავწერე და უცებ დავფიქრდი: რატომ "ვერც"?

ასე აეწყო: ვერ ვუმეგობრეთ, მხარი ვერ დავუჭირეთ, ვერ დავაფასეთ, ვერ გამოვიყენეთ და, ბოლოს — ვერც დავემშვიდობეთ! არადა, თითქოს არც მეგობარი აკლდა, არც მხარდამჭერი, არც დამფასებელი...

ეს ამდენი "ვერ" ალბათ, უფრო, საკუთარი თავისადმია ნათქვამი, მე მწყდება გული, რომ "ვერ" და "ვერც" . . . . .

ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა, ბევრს კითხულობდა, მისი განათლებისა შეგშურდებოდა; შესანიშნავი ორატორი გახლდათ, თხრობისათვის, აუდიტორიისათვის, სუფრისათვის იყო გაჩენილი.

გამორჩეული ფარმაცევტი იყო და მედიცინის ისტორიის ბრწყინვალე მკვლევარი. ეს ორი დარგი ორგანულად შეერწყა ერთმანეთს მის შემოქმედებაში.

როგორი რუდუნებით შექმნა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე "ისტორიული" №1 აფთიაქი, ნებისმიერ სამკურნალწამლო ნაერთს რომ ამზადებდა, ლამის ბოლო პერიოდამდე. ვერ შეინარჩუნა, ქალაქის "ახალ დაგეგმარებას" შეეწირა. ვერ შევანარჩუნებინეთ.

როგორი დამაჯერებელი ლოგიკით ასაბუთებდა ტერმინ "მედიცინის" "მედიასაგან" წარმომავლობას. სურდა ეს აღმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე გასულიყო. გერმანელებმა მოუწონეს. ჯანმოს მიმართა, რომ მედიცინის აღიარებულ ემბლემათა გვერდით, როგორც ალტერნატივა, მედიაგამოსახულებიანი ემბლემაც დამკვიდრებულიყო. ვერ გაიტანა. მხარიც ვერ დავუჭირეთ.

სქელტანიანი მონოგრაფია შექმნა მედიცინისა და, კერძოდ, ფარმაციის ისტორიის საკითხებზე. ეჭვმიუტანლად ასაბუთებდა უძველესი აფთიაქების არსებობას საქართველოში. ამათგან, უფლისციხის კომპლექსში აღმოჩენილი — დღემდე ყველაზე ძველია მსოფლიოში შემორჩენილ აფთიაქთა შორის. ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად ვერ აქცია. გვერდში ვერ დავუდექით.

ზაზა ფანასკერტელის "კარაბადინის" შექმნის ისტორიას ჩაუღრმავდა და ამ დიდი ქართველი ექიმისა და მოღვაწის სახელს გვერდით ამოუყენა მახარობელ მაღალაძის სახელი, ასევე დიდი ექიმისა და მკვლევარის. "საქართველო შენ სადა გყავს შვილი დასაკარგავი"! არ აღიარეს! არადა, ერთი დამაჯერებელი კონტრარგუმენტიც ვერ მოისმინა! ვერ გამოვექომაგეთ!

ჩინებულად კითხულობდა ლექციებს, მსმენელს აღანთებდა! მუდამ აუდიტორიას ესწრაფვოდა... ორჯერ მოვიწვიეთ ლექციის წასაკითხად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექციები შოთა რუსთაველის თორელობას მიუძღვნა... საგანმანათლებლო სივრცეშიც ვერ მოვუძებნეთ ადგილი.

პავლე ინგოროყვას ტიპის კაცი იყო, მეცნიერებაში მისი ბედის თანაზიარი...

ჩვენი ბოლო, თანაც "სატელეფონო შეხვედრა" უცნაური იყო: დილის შვიდ საათზე დამირეკა: "მეტი ვეღარ მოვიცადე, ვიფიქრე ელვიძება-მეთქი! ხელთ მიპყრია საგვარეულო გერბი თორელ-ჯავახიშვილთა! იცი ეს რას ნიშნავს?! დიდი შოთა რუსთაველი და დიდი ივანე ჯავახიშვილი ერთი გენის მატარებლები არიან. ქალბატონ ნონო ჯავახიშვილს მინდა ვეახლო და გერბის ასლი საჩუქრად გადავცე!"

ქალბატონ ნინოსთანაც შეხვედრასაც შევპირდი და უნივერსიტეტში კიდევ ერთი ლექციის მოწყობას! ვერ მოვასწარით...

ისე წავიდა, ვერც დავემშვიდობეთ! მის სოფელში, უკანასკნელ გზაზეც ვერ გავაცილეთ...

ეს გახსენება მისთვის დაგვიანებული ქების თუ მადლობის მცდელობაა. ოღონდ, მხოლოდ იმიტომ არ ვწერ, რომ ამ "ვერ"-ს და "ვერც"-ს ვნანობ. მოდის მკვლევართა ახალი თაობები. ეგებ მათგან რომელიმე მიუბრუნდეს ბატონ სოკრატ სალუქვაძის მემკვიდრეობას და მნიშვნელოვნად მიიჩნიოს მის მიერ მონიშნულ გზაზე სიარული. არც შეცდება!

პროფესორი
დიმიტრი კორძაია
თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

შემოქმედელი მოჭიდავეები თემურ ჯახვას ემადლიერებიან

9-10 ნოემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა დამსახურებული მწვრთნელის ომარ ჭანუყვაძის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 200-მდე მოჭიდავე ასპარეზობდა. ამ ტურნირში ოზურგეთიდან სხვა გუნდებთან ერთად მონაწილეობდნენ ოზურგეთის კლუბ „ფალავანის“შემოქმედის გუნდი, რომელმაც კარგად იასპარეზა და 6 საპრიზო ადგილი დაიკავა.

26, 58, 66 კგ. წონით კატეგორიებში ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ გიორგი თოხაძე, დავით ბაკურაძე, გიორგი ურუშაძე.

23, 35, 66 კგ. წონით კატეგორიებში III საპრიზო ადგილები დაიკავეს სბა ცისკარიძემ, ვანო თოხაძემ, ვალერი აფციაურმა.

გუნდი მწვრთნელებმა დავით მელუამ და ძმებმა ზურაბიანებმა მოამზადეს.

გუნდს ტურნირზე გამგზავრებაში ფინანსური დახმარება გაუწია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა სოფ. შემოქმედიდან, შპს „გზამშენი-18“-ის უფროსმა თემურ ჯახვამ, რისთვისაც გუნდის მწვრთნელები და მოჭიდავეები მადლობას უხდიან მას.

* * *

ოზურგეთის სპორტსკოლიდან ასევე თავი ისახელეს გურამ მაჭარაშვილის და გია ბაქანიძის მოსწავლეებმა.

53 კგ. წონით კატეგორიაში გია გორგოძემ I ადგილი დაიკავა; 85 კგ-ში ედნარ სოლომონიძემ –II, ხოლო 58 და 73 კგ. წონით კატეგორიაში გიორგი გორდელაძემ და გიორგი შუკაკიძემ –III ადგილი.

* * *

ლიხაურის ჭიდაობის სკოლიდან (მწვრთნელი ალექსანდრე ბოლქვაძე) 53 და 73 კგ–ში ვაჟა გოთუა და რობიკო ესაძე II ადგილზე გამოვიდნენ, ხოლო სოფ. შრომის ჭიდაობის სკოლიდან (მწვრთნელი გურმა აბაშიძე) 23 კგ-ში გიორგი სარქისიანმა გაიმარჯვა.

ლეილა კვაჭანტირაძე

ოზურგეთის რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას დააკლდა კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი, უსაზღვრო ენერგიის, სითბოსა და სიყვარულის გამცემი, ღიმილიანი, თავისი საქმის მცოდნე, სხვისი სიხარულისა და ტკივილის გამზიარებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, გურიანთის საბავშვო ბაღის ყოფილი გამგე ლეილა კვაჭანტირაძე.

იგი დაიბადა 1939 წელს, სოფ. გურიანთაში. მშობლიური სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გურიანთის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად.

1972 წლის 1 სექტემბრიდან გადაყვანილი იქნა გურიანთის საბავშვო ბაღის გამგედ, სადაც იმუშავა პენსიაზე გასვლამდე.

ქალბატონი ლეილა ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით და შესაშური შრომისმოყვარეობით ემსახურებოდა ნორჩების სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ლამაზი ცხოვრებით ცხოვრობდა— მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ოჯახზე ზრუნვამ, შვილებისა და შვილიშვილების უზომო სითბომ და სიყვარულმა შეუმსუბუქა 5 შვილის დედას. სანიმუშო მეგობრის, სიდარბაისლით და თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნების, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ლამაზი ოჯახის მოვლასა და გულღია მასპინძლობაში დაუღლელის, მარადისობაში გადასული მრავალშვილიანი დედის, ლეილა კვაჭანტირაძის ნათელი ხსოვნა მუდამ იარსებებს მისი აღზრდილების, კოლეგების და მეგობრების გუნდში.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. გურიანთის საბავშვო ბაღის კოლექტივი

უახლოესი მეგობრები როზა გოგუაძე, ნაილი გრძელიძე, ნინო გვარჯალაძე, სვეტლანა ხომერიკი, ლეილა გელაშვილი, ლეილა ყურაშვილი, ცისანა დათუნაშვილი უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი და უკეთილშობილესი პიროვნების, სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკის, გურიანთის საბავშვო ბაღის ყოფილი გამგის **ლეილა კვაჭანტირაძე-ბელიქანიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ოზურგეთის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან არაჩვეულებრივი ქალბატონის, სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკის, გურიანთის საბავშვო ბაღის ყოფილი გამგის **ლეილა კვაჭანტირაძე-ბელიქანიძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru